ხალგაზრდა ვერიელი

13 ივლისი შაბათი 1991 №81 (11714)

1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი ზვიად გამსახურდია მოსკოვში

9 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მეუღლესთან ერთად მოსკოვს ეწვია პრეზიდენტ ბორის ელცინის მიწვევით, რუსეთის რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საზეიმო ყრილობაზე დასასწრებად. პრეზიდენტს თან ახლდნენ ბატონები გურამ აბსანძე, გიორგი ხოშტარია, დილარ ხაბულიანი, არჩილ ჭირაქაძე, სიმონ ხელაშვილი, ზურაბ წერეთელი.

ვნუკოვოს აეროპორტში საპატიო სტუმარს დახვდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი კოვალიოვი, რუსეთის მინისტრი მიხეილ პოლტორანინი, რუსეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი.

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საზეიმო ყრილობაზე მიწვეულნი იყვნენ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების და სამოკავშირეო ხელშეკრულების უარმყოფელი სუვერენული რესპუბლიკების ხელმძღვანელები.

●

10 ივლისს 11 საათზე ყრილობა მუშაობას შეუდგა. იგი გახსნა რუსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რუსლან ხასბულატოვმა.

სიტყვები წარმოთქვეს სახალხო დეპუტატმა ოლეგ ბასილაშვილმა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ.

(დასასრული მე-2 გვ.).

1991 წლის 20 ივლისს 17 საათზე ახმეტის რაიონის სოფელ მატანში გაიმართება ტრადიციული სახალხო ზეიმი „ქაქუცაობა“.

ალბერტ ვაჩიანის ფოტო

3 დღის წინ საქართველოს უნივერსალური ბირჟის მიერ პირველად მოეწყო სასაქონლო ვაჭრობა. ჩვენი რეალობის ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტის შესახებ ინფორმაციას სათაურით

ბირჟა. კურსი მომავლისაკენ

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატონი ზვიად გამსახურდია მოსკოვში

(დასასრული)

ბატონმა ბორის ელცინმა დადო პრეზიდენტის ფიცი და წარმოთქვა საპროგრამო სიტყვა.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა.

საზეიმო ყრილობას ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მეუღლესთან ერთად. ყრილობას ესწრებოდნენ აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გურამ აბსანძე, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესის სამსახურის ხელმძღვანელი არჩილ ჭირაქაძე, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზურაბ წერეთელი, მოსკოვში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი კახა ლომაია. საზეიმო სხდომის შემდეგ მიწვეულ საპატიო სტუმრებს შეხვდა ბორის ელცინი.

საღამოს საქართველოს პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები დაესწრნენ კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ საზეიმო კონცერტს.

კონცერტის შემდეგ მეგობრული შეხვედრის ფარგლებში ბორის ელცინსა და ზვიად გამსახურდიას შორის გაიმართა საუბარი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების, საქართველოს და რუსეთის სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების მომზადების თაობაზე.

10 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები თბილისს დაბრუნდნენ.

დედაქალაქის აეროპორტში მათ დახვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები, უზენაესი საბჭოსა და საქართველოს მთავრობის წევრები, სხვა ოფიციალური პირები.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გრძანებულება

ი. ზ. გარათაშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **იოსეგ ზურაგის ძე გარათაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსად.

ზვიად გამსახურდია
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
თბილისი, 1991 წლის 9 ივლისი

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გრძანებულებით **იოსეგ ზურაგის ძე გარათაშვილი** გათავისუფლდა ბოლნისის რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქინფორმი

სხვა გაზეთებიდან

ჰიპნოზი... ტატუირების წინააღმდეგ

ფრანგული **„მონდის“** ცნობით, შოტლანდიის ქალაქ დანდის მცხოვრებმა ტომოტი მაკლეროდმა 35 წელი იმსახურა სავაჭრო ფლოტში და 56 წლის ასაკისათვის მისი სხეული - უკვე ლამის კისრიდან ფეხის გულებამდე ტატუირებული აღმოჩნდა. მაკლეროდის სხეულზე 77 ნახატი იყო მათ შორის: ჯემების, ღუზების, ზვიგენების, ქალთევზების, მაშველი რგოლებისა და ა.შ. გამოსახულებებით, რომლებითაც თავის დროზე კიდეც ამაყობდა მათი პატრონი. მაგრამ სიბერეში მაკლეროდმა გადაწყვიტა მაინც შელეოდა საამაყო „სიმდიდრეს“. თუმცა ეს იოლი როდი აღმოჩნდა. თავიდან მან ტატუირების მოცილება მაღალი სიხშირის დენის ნაკადით სცადა, მაგრამ ეს ოპერაცია არც თუ უმტკივნეულო გამოდგა და საკმაოდ სოლიდურ თანხასაც მოითხოვდა, ამიტომ ექს-მეზღვაურმა მკურნალობა დაიწყო სინგაპურელ... ჰიპნოტიზიორთან. 11 სეანსის შემდეგ ტომოტის სხეული აბსოლუტურად გასუფთავდა.

თუ ტაგილი ქილი გსურთ

ხანგრძლივი და ყოველმხრივი გამოკვლევების შემდეგ ამერიკელი ფიზიოლოგები და ჰიგიენისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ, ადამიანის ორგანიზმი ყველაზე ეფექტურად მაშინ ისვენებს, თუ მას მორკალულს სძინავს, განსაკუთრებით ჯანსაღად და ღრმად კი მარჯვენა მხარეზე წოლისას სძინავს. ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონია, აგრეთვე, ხის მასალას, რომლისგანაც საწოლია დამზადებული. საამისოდ ძალზე სასურველი ყოფილა მუხის, წიფლის, ნეკერჩხლის, იფანისა და არყის ხე, ნაკლებად — წიწვოვანი ხის ჯიშები **(„მედიცინსკაია გაზეტა“ № 25)**

ვინ გასცემს ნიჭიერების ცნობას?

„ხობერინფორმის“ ცნობით კრასნოიარსკში ცხოვრობს 6 წლის ბიჭუნა იგორ ბელი, რომელმაც ცოტა ხნის წინათ წარმატებით ჩაბარა საშუალო სკოლის მე-4 კლასის გამოცდები და სექტემბერში პირდაპირ მეხუთე კლასში წავა. თუმცა, მასწავლებლები იმასაც აღნიშნავენ, რომ ბიჭუნას მათემატიკაში მე-6 კლასის მოსწავლის მონაცემები აქვს.

საბჭოთა კავშირის საბავშვო ფონდის კრასნოიარსკის სამხარეო განყოფილებამ ნიჭიერი ბავშვისთვის სტიპენდიის დანიშვნა გადაწყვიტა. ის იყო, იგორს 30 მანეთი (?!) უნდა მიეღო, რომ ფონდის მესვეურები დაფიქრდნენ: „კი მაგრამ, სად არის ნიჭიერების დამადასტურებელი საბუთი?“ ბავშვის შშობლები დაფაცურდნენ და ფონდში ჯერ იმის ცნობა წარადგინეს, რომ იგორი კრასნოიარსკის კოსმონავტიკის სკოლაში დადის, შემდეგ ბიჭუნას ფენომენალურ მონაცემებზე წერილიც დაწერეს კრასნოიარსკის ფერადი ლითონების ინსტიტუტის სპეციალისტებმა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. საბავშვო ფონდში ჯიუტად ითხოვდნენ ცნობას, რომლის მოსაპოვებლადაც იგორის შშობლებს მოსკოვს გამგზავრება შესთავაზეს. ნეტავ მოსკოვში ვინღა გასცემს ამ ცნობას?

ბირჟა. კურსი მომავლისაკენ



ბირჟა — კაპიტალისტურ ქვეყნებში: დაწესებულება, სადაც ხდება მსხვილი ფინანსური და საგაჭრო გარიგებები —ასეა განმარტებული „ბირჟა“ უცხო სიტყვათა ლექსიკონში.

მართალია, ჩვენში კაპიტალისტური წყობა კი არა, მისი ელემენტებიც კი 70 წლის მანძილზე გულდაგულ აღმოფხვრეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ „კაცთმოძულე“ სისტემას მაინც ჰქონია თითოოროლა მისაბაძი ნიუანსი. და ახლა, თითქმის დღე არ გავა რუსულენოვან პრესაში ან ტელესაინფორმაციო გადაცემაში თვალი არ მოვკრათ ამგვარ ინფორმაციებსა თუ რეკლამებს: გაიმართა საბირჟო გამოფენა-ვაჭრობა... იჩქარეთ, შეიძინეთ საბირჟო აქციები... საბირჟო სამსახურით თქვენი მოგება გარანტირებულია... და ა. შ.

საქართველოს ბირჟის რა ისტორიაც აქვს, ამის გახსენება ახლა ძალზე შორს წაგვიყვანს, მაგრამ თუნდაც იმის აღნიშვნით, რომ სულმნათი ილიას სურვილი და იმედები ბირჟასთან დაკავშირებით საუკუნის მერე ახდა, ალბათ, ყველაფერია ნათქვამი. დიახ, 1991 წლის 10 ივლისი გამორჩეული დღე იყო. ამ დღეს პირველად მოეწყო საქართველოს უნივერსალური ბირჟის ვაჭრობა. დიდუბეში მდებარე სახალხო მიღწევათა გამოფენის მეხუთე პავილიონში თავი მოიყარეს ბიზნესმენებმა 125 საბროკერო კანტორიდან. აქ იყვნენ „ხომლი 5“-ის, „კოლხას“, „თეონას“, „კოლხური ხოხობის“, „თეთრი გედის“ (დედოფლისწყაროს რაიონი), „გზის“ (ბათუმი) და სხვა ფირმების ხელმძღვანელები. თითქმის ყველა მათგანს აქვს კონტაქტი უცხოურ ფირმებთან, რაც არა მარტო ნედლეულით მომარაგებას, არამედ გამოცდილების ამაღლებასაც უწყობს ხელს.

ეს დღე გახსნა საქართველოს უნივერსალური ბირჟის გამგეობის თავმჯდომარემ **გია მაისაშვილმა.** დღევანდელი დღე ისტორიული დღეა, — თქვა მან, — ჩვენ გარე სამყაროს ისტორიულმა ჩარხუკუღმართობამ მოგვწყვიტა. მაგრამ ჩვენში ყოველთვის იყო ევროპისაკენ ლტოლვა და ეს სავსებით გასაგებია, რადგან ჩვენ გვინდოდა შევერთებოდით ხალხს, რომელიც თავისუფლად ცხოვრობს...

ერთ ეპიზოდს მოგიყვანთ: ყოველ ახალ წამოწყებას სასურველია თუ მოძღვარი დაულოცავს გზას. ბირჟის გახსნის წინ ერთერთს ვთხოვე მობრძანებულიყო დღეს ჩვენთან და კურთხევა მოეცა ჩვენი საქმისათვის. მან კი მითხრა: როგორ, ფულის კეთებაში დაგილოცოთ გზა? ეს პატარა მაგალითი ჩვენი საზოგადოების, ჩვენი საქმისადმი დამოკიდებულებაზე, საერთოდ ბირჟის შესაზებ აზრსა და წარმოდგენაზე მეტყველებს. სამწუხაროდ, ასეთია დღეს ჩვენი ფსიქოლოგია.

პირველი დადებითი მომენტი ჩვენი სასაქონლო ბირჟის დაარსებისა გახლავთ ის, რომ ჩვენი ბირჟის მეშვეობით მოხდება დეფიციტური სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება. სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება კი დადებითად იმოქმედებს საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობაზე. აი, ეს გახლავთ ჩვენი ძირითადი ამოცანა.

საქართველოს უნივერსალურ ბირჟას — პირველს ჩვენს რეალობაში — წინ ეკლიანი გზა აქვს, მაგრამ იმდენად სასიამოვნოა „პირველი მკვლევარების როლი“, რომ მჯერა, ნებისმიერ სიძნელეს გადავლახავთ. ამგვარ არატრადიციულ გზებს შეუძლია სტრუქტურული ცვლილება შეიტანოს ჩვენს საზოგადოებაში.

საქართველოს მთავრობა მხარში გვიდგას და ყოველმხრივ ხელს უწყობს ჩვენს წამოწყებას. ჩვენც ბოლომდე ერთგულნი ვიქნებით ამ დიდი იდეისა. ვიზრუნებთ იმისთვისაც, რომ ახალი კადრები აღვზარდოთ და უზრუნველვყოთ საქართველოს ბირჟის მომავალი.

იქ შეკრებილთ ბირჟის გახსნა მიულოცა ეკონომიკური რეფორმის კომისიის თავმჯდომარემ **გივი თაქთაქიშვილმა** და აღნიშნა, რომ საბაზრო ეკონომიკისა და საერთოდ, სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში უდიდესი ბიძგი იქნება საქართველოს უნივერსალური ბირჟის დაარსება.

ამ დღეს უცხოეთიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ ბიზნესმენები. საკრებულოს მიესალმა ჰოლანდიელი სტუმარი ანამარი ვანდერმირი — ფირმა „სეგრეს სერვიზის“ წარმომადგენელი, სასტუმრო „მეტეხის“ გენერალური მმართველი ბატონი ფიოდორ კუპაკი. აქ იყვნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის სასაქონლო სანედლეულო ბირჟა „ანტია ლუქსის“, ბაქოს სასაქონლო ბირჟის, რეგიონალური სასაქონლო სანედლეულო ბირჟა „ვიკარ“-ის, პერმის, ბაიკალის, უკრაინის სასაქონლო ბირჟების წარმომადგენლები.

ვიდრე დაიწყებოდა საბირჟო ვაჭრობა, ანსამბლმა „ჟურნალისტმა“ „ჩემო კარგო ქვეყანა“ შეასრულა. ამ დღეს მართლაც სიმბოლურად გაისმა სიტყვები — „...მომავალი შენია“, რადგან ნედლეულის შემოტანის, საქონლის ბრუნვისა და მისი წარმოების, მეწარმეთა პროფესიონალიზმის დონის ამაღლებისა და გააქტიურებისთვის, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ფართო (არა მხოლოდ საგაჭრო-ეკონომიკური, არამედ ყველა სფეროში) კონტაქტებისათვის საქართველოს უნივერსალური ბირჟა აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას.

საკუთარი ინფორმაცია

ზურაბ ჯავთარაძის ფოტოები

№ 03(20). 1991 წელი

კონსტანტინე—კომერსანტი და მამულიშვილი



**ბატონი კონსტანტინე ფალავანდიშვილი ... ბატონი კონსტანტინე ... ბატონი კონსტანტინე ... ბატონ კონსტანტინეს ... ბატონ კონსტანტინეს ... ბატონ კონსტანტინეს

ქართველ მეფეთა ცხოვრებიდან

XVI-XVII საუკუნეები განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოს ისტორიაში. ამ საუკუნეებში ზეგანაცემ ზეგანაცემ ბრძოლა ეწარმართ ქართველ მოსახლეობასა და უცხოელ დამპყრობლებს, მაგრამ ქართველთა ნებისყოფა უფრედ ირწყვნდა და თავისუფლების დაცვა-მოპოვების სურვილი არ ისპობოდა.

მოუფლებელ ასეთი მძიმე პირობებსა, ქართველ ხალხს შემოქმედებითი უნარი არ შეწყვეტია, რომელიც ამ ძნელი, როგორც თავის სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ბევრ ბრძოლებში ეხატა. ამ ბრძოლებში ეროვნული ინტერესებ-ებიც ...

XVII საუკუნის-ირანის ძლიერი იმპერიაც.

სეფიანთა ირანის, პოლიტიკურ ასპარეზზე არა ერთი ქართველი მოღვაწეობდა. ქართველი ერის წარმომადგენლებს ეკავათ მაღალი თანამდებობები, როგორც უშიალოდ ირანის ბასის კარზე, ისე ამ ქვეყნის ცალკეულ პროვინციებსა და ეპარქიებში. ხალვა ისინი ზზარ შემოქმედებითი ქალაქებისა და მთელი ბმარის მმართველებადაც ინიშნებიდენ.

ალბათ ...

XVII-XVIII საუკუნეებში ...

XVII-XVIII საუკუნეებში ...

1629 წელს, 30-ის ...

...

...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუმრობით და სრულიად სერიოზულად



რით გამოიკვებოს ადამიანი, რომელიც ვერ უიდულობს ხაკვებს ვერც მაღაზიაში, ვერც ბაზარში (ხშირად) და ვერც კომერციულ ფასებში...

●

როგორ მოვიპოვოთ მილიონი?



(დუბლი 1)

ბლიც რეპორტაჟი მოშავალი მილიონერის კაბინეტიდან

ოთახი წარმოადგენს ჩვეულებრივად მდიდრულ (არგანსაკუთრებულ) კაბინეტს: კონდიციონერით, ტყავის სავარძლებით, ავტომპასუხე ტელეფონით და სხვა შედარებით მოკრძალებული ტელეფონებით.

იგი ზის...

არც შლაპი ახურავს, (მით უმეტეს, როცა მოქმედება ოთახში ხდება), არც პეპელა-ჰალსტუხი, არც სიგარა და არც ძვირფასთვლიანი ბეჭედი. ფეხებიც კი არ აქვს დაწყობილი მაგიდაზე. ასაკით ასე 28 წელი, სახელად ჰ., გვარი კაბინეტის კართან გაკრულ ფირნიშზე ვერ ამოვიკითხე (გაურკვევლად ეწერა).

ვიცით ის, რომ არის ერთ-ერთი ცნობილი კომერციული ფირმის პრეზიდენტი.

მომავალში კი — ყველაზე მდიდარი კომერციული ფირმის პრეზიდენტი.

მდივანი გოგონა (არც ზედმეტად შეღებილი, და არც მინი კაბით) — იჯდა განკუთვნილ ადგილზე.

ჩვენ: რას იზამთ პირველ მილიონს რომ შეასრულებთ?

ის: (მხნედ) გადავალ მეორე მილიონის შესრულებაზე.

ჩვენ: ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი სიმდიდრე სხვათა სიღატაკეს იწვევს?

ის: არც ერთ შემთხვევაში, შენი სიმდიდრე სხვის სიმდიდრესაც ნიშნავს.

ჩვენ: როდის შეიძლება თქვას ადამიანმა — „მდიდარი ვარ“.

ის: როცა სალაროში კაპიკი ფული არ აქვს... რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი სახსრები კაპიტალში ბრუნავს.

ჩვენ: საით მიყავხართ ფულს?

●

იცით, რატომ აღარ ავგიანდება ავტობუსზე არავის? იმიტომ, რომ ავტობუსებმა თვითონ გადაწყვიტეს დაგვიანება.

●

რა არის თქვენთვის ფული?

ის: (შედარებით ფიქრიანად,) იქითკენ, რომ უფრო მეტი შევძლო... ხოლო ფული ჩემთვის არის საზრიანობის, მოხერხებულობის ბარომეტრი.

ჩვენ: ყოველდღიურად რამდენი გაქვთ ჯიბეში?

ის: არ დაგავიწყდეთ, რომ მაინც ქართველი ვარ... არ ვიცი რამდენი მაქვს.

ჩვენ: გიყვართ ღარიბები?

ის: (ძალზე სერიოზულად) ვისაც ხელის განძრევა არ უყვარს, პატივს ვრ ვცემ. ვისაც არ უმართლებს, თანავუგრძნობ...

დანარჩენ კითხვებს უდროობის გამო ვერ უპასუხა.

ძნელია მილიონერობა...

კიდევ შეგახსენებთ, რომ რესპოდენტის გვარს და სახელს ვერ ვამბობთ — რომ არ გავთვალოთ.... ხოლო როცა იგი თავის კაბინეტში სიგარითა და მაგიდაზე ფეხშემოწყობილი დაგვხვდება — მაშინ კი ნამდვილად გაგიმხელთ მის ვინაობას.

ასე რომ, ძალიან მალე ელოდეთ რეპორტაჟის გაგრძელებას...

კედრს ბიღმა ავტორის ხმა: ნეტა თუ მართლა ასეა: „უადვილეს არს აქლემი განსვლად ხვრელისა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ცათასა“. მათე. 19.24.

როგორ შეიძინოს კვალიფიციურმა მკითხველმა, მოკრძალებული პროფესიის (ინტელიგენტმა) ადამიანმა საჭირო, მშვენიერი წიგნები, რომლებიც ასე შეუბრალებელ ფასებში იყიდება?

●

ისმის მიწისქვეშა გადასასვლელისათვის დამასასიათებელი ხმაური



(დუბლი 2)

ქალაქი ცხოვრობს თავისთვის. დნება ზაფხულის სიცხეში. ქუჩაშიც ხალხი უფრო უტყვი სახეებით დადის — ვიდრე საერთოდ. ყველას თავისი გასაჭირი აქვს, თავისი საზრუნავი. ეს საზრუნავი დღითიდღე მატულობს. ძველი უკვე ისე საკირბოროტოდ აღარავის უჩვენება.

ქალაქი ცხოვრობს, თავისთვის. დნება ზაფხულის სიცხეში. ქუჩები თითქოს ლღვება. ნეტა რა ხდება ქუჩების ქვეშ — მიწისქვეშა გადასასვლელებში?!

საოცარი რამ არის მიწისქვეშეთი: იქ მზე არასოდეს ანათებს. არასოდეს ჩადის.

არასოდეს ცივა, არც ცხელა.

არადა, სიცოცხლე ჩქეფს. ხალხი მიდი-მოდის, ზოგი გარბის, ნაწილიც ზის — პირდაპირ ქვაზე.

თბილისის მიწისქვეშეთი. ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენი ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი. თუმცა, თუ მათ სახეებს შევხედავთ, შეიძლება კიდეც ვიფიქრებთ, რომ სიცოცხლე მაინცდამაინც არ უხარიათ. ეს — ვინც იქ დადის... რომ აღარაფერი თქვათ მთელი დღე იქ მყოფებზე: მაგალითად, მესაათეებზე, წიგნების, მზესუმზირის გამყიდველებზე. უბრალო ხალხია. მათაც უამრავი პრობლემა აქვთ...

— რას იზამდით მდიდარი რომ იყოთ?

მესახსნორე: მდიდარი რომ ვიყო, დავურიგებდი საწყალ ხალხს.

ლატარიის ბილეთების გამყიდველი: ვჭამდი, ვსვამდი და „ვიგულავებდი“. მეტი რა უნდა მექნა?

მზესუმზირის გამყიდველი ჭალბატონი მერი: მდიდარი რომ ვიყო, მიწისძვრით დაზარალებულებს მივცემდი ყველაფერს.

— რა არის თქვენთვის ფული?

მესახსნორე: ფული ბილეთივითაა, რომლითაც პურს, საკმელს ყიდულობ. მხოლოდ ამისათვის, თორემ ისე რად მინდა? ისე, ყველაფერს შვილებს და შვილიშვილებს გახარჯავ.

გამყიდველი: ფულია ცხოვრება. უფულოდ ვერაფერს იზამ. კაცს ასე სჯერა, ვერც გაამტყუნებ.

ჭალბატონი მერი: ფული არაფერი არ არის, ჯანმრთელობაა მთავარი.

— როდის შეუძლია ადამიანმა თქვას — „მდიდარი ვარ?...“

მესახსნორე: როცა ოჯახი კარგად ჰყავს.

გამყიდველი: როცა მილიონერი გახდება, თუმცა ვერ იტყვის — ეშინია. ყველას ეშინია. აი, მანქანას რომ იგებენ, მაშინაც ეშინიათ, ძალავენ.

ქ-ნი მერი: თუ ადამიანი იტყვის, მდიდარი ვარო — ოჯახი ჯანმრთელად ჰყავს... მეზობლებიც ჯანმრთელად უნდა ჰყავდნენ.

— გიყვართ მდიდარი ადამიანები?

მესახსნორე: გულკეთილი მდიდრები მიყვარს. უმეტესობა მდიდრები უჯიგრო ხალხია, რომლებიც საწყლებს არ ეხმარებიან.

გამყიდველი: მდიდრები სადღა არიან? ყველა ჩემსავით საწყალია.

ქ-ნი მერი: მდიდარი არ მიყვარს, სიძუნწეს ამჟღავნებს.

ამასობაში დახუთულ მიწისქვეშაში ხალხი ჩქარი ნაბიჯით მიდი-მოდიოდა. ზოგიერთი თუ ჩერდებოდა სასწორთან. ადამიანები ჩქარობდნენ — არავის სურს მიწისქვეშაში გაჩერება.

მესახსნორე: საერთოდ აქ ხმაურია, რომელსაც ვერ ვიტან. ცუდი მათხოვრებიც ჯდებიან აქ. ესენი ჩვენსავით ჯანმრთელები არიან, უბრალოდ ტყუიან. თხოულობენ და რამდენიმე საათში 2—3 თუმანს აკეთებენ. პატრონი აღარა ჰყავს აქაურობას. სირცხვილია საქართველოსთვის.

მელატარეე: ხალხი ცხვირჩამოშვებულია. არავინ იცინის, ფიქრობს. რა მოგპაროს, რა იყიდოს... უნდა დაწეროთ? რა ჭკუა აქვს... გაეცინა.

ქ-ნი მერი: მე რომ თქვენხელა ვიყავი, მაშინ ადამიანების სახეებზე სითბოს ამოიკითხავდი. ახლა ასე აღარ არის.

ერთი სული მქონდა, როდის ამოვიდოდი იქიდან, საერთოდ მიკვირს, რად სხედან მიწისქვეშაში. მესასწორე და ლატარიის გამყიდველი პენსიონერები არიან. პირველის ხელფასი 78 მანეთია, მეორე პენსიის 120 მანეთთან ერთად გაყიდული ლატარიის ბილეთებიდან შემოსული თანხის 2 პროცენტს იღებს. ეს თურმე 150—200 მანეთის ტოლფასია...

მიწისქვეშიდან ამოვედით.

ქალაქი ცხოვრობს თავის ცხოვრებით. დნება ზაფხულის სიცხეში...

მიწის ზემოთ კაცი ნესვსა ჰყიდდა.

— მდიდარი რომ ვიყო, რას ვიზამდი? (იღიმება). მანქანა მეყოლებოდა; ვიცხოვრებდი მდიდრულად.

(მიწისზემოთა ადამიანებს გაცილებით კონკრეტული სურვილები აქვთ...)

კიდევ ეს თქვა: ბუნებით ადამიანი ფულის მოყვარული არ არის. უბრალოდ ფულის გარეშე ცხოვრებას ვერ მიაღწევს, თუ კაცი იქნები, შენი სამყოფი ფული ყოველთვის გექნება.

ამასობაში, ხალხი მიდი-მოდის... შფოთავს, ცხოვრობს.

მოკლედ, ქალაქი ცხოვრობს თავისთვის.

●

ხად დაისვენოს ჩვეულებრივმა ადამიანმა მაშინ, როცა თბილისში ხიცხე 40 გრადუსზე მეტია და ამავე დროს წყნეთში, კოჯორში, (ალბათ კიკეთშიც), ოქროყანაშიც ბინები 1000-დან 10 000 მანეთამდე ფარგლებში მერყეობს?

ამ სტატიაში მუშაობდნენ ზაია ჭალაგანიძე და გუგა სულხანიშვილი

ხუმრობით და სრულიად სერიოზულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებები

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ცენტრის „ეკონომიკური განათლების“ ბიზნესის და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა

აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:

1. წარმოების ეკონომიკა და მართვა—მენეჯერი (დღისა და საღამოს დასწრებული სწავლება);
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის მენეჯერი (დღისა და საღამოს დასწრებული სწავლება);
3. ვაჭრობის ეკონომიკა და მართვა—მენეჯერი (დღისა და საღამოს დასწრებული სწავლება);
4. საფინანსო და საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი (დღისა და საღამოს დასწრებული სწავლება).

ბიზნესის და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის მიუხედავად. სწავლების ვადაა 4 წელი. უმაღლესი განათლების მქონე პირები მიიღებიან უმაღლესი სასწავლებლის III კურსზე.

სწავლება იწარმოებს ქართულ ენაზე.

დღისა და საღამოს დასწრებულ განყოფილებებზე შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკა (ზეპირი); 2. საქართველოს ისტორია (ზეპირი); 3. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

გამოცდების შეფასება განხორციელდება 10-ქულიანი სისტემით, სადაც დადებით შეფასებად ჩაითვლება ქულები 6-დან 10-ის ჩათვლით. ჩარიცხვა განხორციელდება შემსვლელთა მიერ მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით.

მისაღებ გამოცდებზე ყველა საგანში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში უკონკურსოდ ჩარიცხებიან აღნიშნული ცენტრის „ეკონომიკური განათლების“ მენეჯერთა და ბიზნესის ერთლწოანი სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებულები.

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში აბიტურიენტთა ჩარიცხვა განხორციელდება შემდეგი თანამიმდევრობით:

1. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დემობილიზებულნი;
2. პირველ საგამოცდო საგანში უფრო მაღალი შეფასების მქონე აბიტურიენტები;
3. უფრო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის მქონე აბიტურიენტები (ვრცელდება მათზე, ვისაც აქვს 6 თვეზე მეტი ხანგრძლივი მუშაობის სტაჟი).
4. უმაღლესი სასწავლებლის მიმღები კომისიის მიერ განსაზღვრული მეორე მაპროფილებელ საგანში უფრო მაღალი ნიშნის მქონე აბიტურიენტები.
5. ის აბიტურიენტები, რომელთაც საშუალო სკოლის განათლების დოკუმენტში უფრო მაღალი ჯამური ქულა აქვთ იმ საგნებში, რომლებიც ბარდება უმაღლესი სასწავლებლის მოცემულ სპეციალობაზე.

ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში მსმენელები შეისწავლიან მენეჯერისათვის საჭირო საგნებს — მენეჯმენტს, მარკეტინგს, მცირე ბიზნესს, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს და სხვა სპეციალურ დისციპლინებს, აგრეთვე უცხო ენებს. სტუდენტებთან ლექციების წასაკითხად მოწვეული იქნებიან ცნობილი საზღვარგარეთელი სპეციალისტებიც მარკეტინგისა და ბიზნესის, საბაზრო ეკონომიკის სფეროში. სასწავლო პროცესში ფართოდ იქნება გამოყენებული ახალი ფორმები და მეთოდები.

მოწინავე სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისსა და ისლანდიაში.

ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაიცავენ სადიპლომო ნაშრომს და ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდებს, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიეცემათ უმაღლესი განათლების დიპლომი.

ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში სწავლა ფასიანია. სტუდენტის სწავლის საფასური წელიწადში როგორც დღის, ისე საღამოს განყოფილებაზე 3 500 მანეთია. სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება განხორციელდეს საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიული პირების მიერ გადარიცხვის წესით, აგრეთვე ნაღდ ანგარიშზე.

სასწავლო წლის დასაწყისში უმაღლესი სასწავლებლის რექტორატსა და სწავლის ქირის გადამხდელებს შორის ფორმდება ხელშეკრულება ურთიერთვალდებულებათა შესახებ.

დღის განყოფილების წარჩინებული სტუდენტები სწავლის პროცესში მიიღებენ სტიპენდიას.

უმაღლეს სკოლაში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი;
2. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086);
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
5. ფოტოსურათი 6 ცალი (ზომით 3X4);
6. პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენს პირადად.

უმაღლეს სკოლაში ჩარიცხული აბიტურიენტები ვალდებულნი არიან სწავლის წლიური საფასური გადაიხადონ ჩარიცხვის სიების გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში.

საბუთების მიღება იწარმოებს 15 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დღის 12-დან 17 საათამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 29 ივლისიდან განრიგის მიხედვით.

მისამართი: თბილისი, ლ. ასათიანის (ყოფილი ფ. ენგელსის) ქ. № 28. ტელეფონი: 93-29-22, 99-68-97; 99-96-46.

რექტორატი

საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოების ცენტრალური კავშირის თბილისის კოოპერაციული სასწავლო-საწარმოო კომპლექსი „ტექნიკუმი-პტს“-ი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისთვის ტექნიკუმის შემდეგ სპეციალობებზე

1. ბუღალტრული აღრიცხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი — დღისა და დაუსწრებელ განყოფილებებზე (სწავლის ხანგრძლივობა: დღის სწავლებაზე — 1 წელი და 10 თვე, დაუსწრებელზე — 2 წელი და 7 თვე)
2. კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაცია და სახალხო მოხმარების საქონლის საქონელმცოდნეობა — დღისა და დაუსწრებელ განყოფილებებზე (სწავლის ხანგრძლივობა: დღის განყოფილებაზე — 2 წელი და 6 თვე, დაუსწრებელ განყოფილებაზე — 2 წელი და 7 თვე)
3. კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაცია და არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა — დღისა და დაუსწრებელ განყოფილებებზე) სწავლის ხანგრძლივობა: დღის განყოფილებაზე — 1 წელი და 10 თვე, დაუსწრებელზე — 2 წელი და 7 თვე).
4. კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაცია და სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა — დღის და დაუსწრებელ განყოფილებებზე (სწავლის ხანგრძლივობა დღის განყოფილებაზე — 1 წელი და 10 თვე, დაუსწრებელზე — 2 წელი და 7 თვე).
5. საჭმლის მომზადების ტექნოლოგია და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია — დაუსწრებელ განყოფილებაზე (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 7 თვე). სწავლება ქართულ ენაზეა.

საბუთები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები და ჩარიცხვა იწარმოებს 15 ივლისიდან 25 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე 30 აგვისტომდე.

მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში — წერითი
2. მათემატიკაში — ზეპირი.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები.

1. განცხადება დადგენილი ფორმით.
2. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი)
3. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 086 უ)
4. შრომის წიგნაკიდან და საკოლმეურნეო წიგნაკიდან ამონაწერი (წარმოადგენენ პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები)
5. ექვსი ფოტოსურათი, ზომით 3X4 სმ.

ვაჟი აბიტურიენტები წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის წვევამდელის მიწერის მოწმობას. ტექნიკუმში შემსვლელებმა მომვლინებელი ორგანიზაციიდან უნდა წარმოადგინონ ხელშეკრულება სპეციალისტის მომზადების შესახებ.

დაუსწრებელ განყოფილებაზე პირველ რიგში მიიღებიან პროფილით მომუშავენი.

ტექნიკუმის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 44. ტელეფონები: 39-18-13; 39-68-30.

საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოების ცენტრალური კავშირის თბილისის სასწავლო-საწარმოო კომბინატი „ტექნიკუმი“ — პტს“-ი

აცხადებს 1991-1992 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას პროფსასწავლებლის შემდეგ პროფესიებზე:

1. სასურსათო და არასასურსათო საქონლის გამყიდველი (სწავლების ვადა — 1 წელი).
2. მზარეულ-კონდიტერი (სწავლების ვადა — 2 წელი).

სასწავლებელში მიიღებიან 30 წლამდე ასაკის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები. სასწავლებელში სწავლების დრო ითვლება საერთო და უწყვეტ შრომის სტაჟში. სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემათ ვაჭრობისა და საზკვების დარგის მუშაკებს, საერთო სტაჟის მქონე პირებს, არმიიდან დემობილიზებულთ და ქალებს.

სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე. განცხადებები მიიღება 1991 წლის 27 აგვისტომდე. განცხადება შემოტანილ უნდა იქნეს დირექტორის სახელზე, არჩეული პროფესიის ზუსტი აღნიშვნით, განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. განათლებისმოწმობა (დედანი)
2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 086-უ)
3. ექვსი ფოტოსურათი, 3X4.
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
5. მუშაობის სტაჟის მქონე პირები წარმოადგენენ შრომის წიგნაკიდან ამონაწერს.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ ხელშეკრულება სპეციალისტთა მომზადების შესახებ.

სასწავლებლის ჯგუფებში ჩარიცხვა იწარმოებს არჩეულ სპეციალობებთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

გასაუბრება იწარმოებს 28 აგვისტოს. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას (გამზირი, 44. ტელეფონები: 39-18-03, 39-68-30, 39-18-74.

დირექცია

ქ. თბილისის მიკროელექტრონიკის № 140 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულების (სწავლის ვადა 3 წელი) და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულების (სწავლის ვადა 1 წელი).

გოგონების და ვაჟების შემდეგ პროფესიებზე:

9 კლასდამთავრებულთათვის

1. მიკროსქემების ამწყობი (ოპერატორები).
2. რადიოელექტრონული აპარატებისა და ხელსაწყოების მემონტაჟე (კონტროლიორი).
3. გამოსაცდელი მოწყობილობების გამწყობები-მემონტაჟე.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის

1. მიკროსქემების ამწყობები.
2. ელექტროფიზიკური პარამეტრების მზომი (ლაბორანტები).

სასწავლებლის კურსდამთავრებულები მიიღებენ საშუალო განათლებისა და პროფესიაში კვალიფიკაციის მინიჭების დიპლომს.

3-წლიანი სწავლების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან დღეში ორჯერადი კვებით, მიიღებენ საწარმოო სწავლების პერიოდში გამომუშავებული თანხის 50%-ს.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები (1-წლიანი სწავლების ვადით) მიიღებენ სტიპენდიას დადგენილი წესით, კომპენსაციით 70 მანეთს და საწარმოო პრაქტიკაზე გამომუშავებული ფულადი თანხის 50%-ს. ოთხოსან და ფრიადოსან მოსწავლეებს სტიპენდია გაუდიდდებათ 15-25%-ით. სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

სასწავლებლის ყველა კურსდამთავრებულს უფლება აქვს იმავე წელს შევიდეს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში. ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაო ადგილებით სასწავლებელში მიღებული თანრიგით პროფესიის შესაბამისად საბაზო ორგანიზაცია სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „მიონ“-ში.

ს. ს. გ „მიონი“ რესპუბლიკაში ითვლება ერთ-ერთ უმაღლესი ტექნიკური კულტურის მქონე წარმოებად, სადაც მიმდინარეობს კომპიუტერებისა და ელექტრონული აპარატურის დამზადება.

სასწავლებელს აქვს კეთილმოწყობილი დახურული საცურაო აუზი (25-მეტრიანი), ყველა სახის სპორტული მოედნები და დარბაზი. აგრეთვე გახსნილი მოზარდთა კლუბი პროფკავშირების ხარჯზე, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდას, ჩამოყალიბებულია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ტექნიკური წრეები და სპორტული სექციები.

სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელში მიიღებიან თბილისში მუდმივად ჩაწერილნი ახალგაზრდები. უპირატესობა ეძლევათ მიღების დროს **გოგონებს**, ხოლო რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები მიიღებიან მომართვების საფუძველზე.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე არჩეული პროფესიის ჩვენებით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

9 კლასდამთავრებულთათვის

1. 9 კლასის დამთავრების მოწმობა (დედანი).
2. პირადი საქმე (საბოლოო დახასიათება) სკოლიდან.
3. დაბადების მოწმობა (დედანი).
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
5. ფოტოსურათები 6 ცალი, 3X4.
6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის

1. საშუალო სკოლის განათლების ატესტატი (დედანი).
2. დაბადების მოწმობა (დედანი).
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
4. ფოტოსურათები 6 ცალი, 3X4.
5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.
6. ავტობიოგრაფია.
7. დახასიათება.

პასპორტს და მიწერის მოწმობას წარმოადგენენ განცხადების შემოტანის დროს.

განცხადება მიიღება ყოველდღე აგვისტოს 1 სექტემბრამდე, გარდა კვირა დღისა. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართია: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, გამწვანების ტერიტორია, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონი“-დან ერთი გაჩერებით ზევით. ტელ: 51-85-78, 51-88-37, 51-85-39, 51-85-21.

ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ტრანსპორტი მიდის ს. ს. გ. „მიონი“-ს გაჩერებამდე.

ტროლეიბუსი № 1°, მიკრო ავტობუსები (ტაქსები) № 41, 44.

შენიშვნა: 1. სასწავლებელში გოგონების ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსგარეშე, ხოლო ვაჟებისა— საერთო კონკურსით.

2. ერთწლიანი სწავლების ჯგუფებში მიიღებიან ის ვაჟები ვისაც სამხედრო სავალდებულო სამსახურში გადავადება არ ესაჭიროებათ.

დირექცია

მცირე საწარმო „შრომის ბირჟამ“ საქართველოში პირველად დაამუშავა და ქართულ ენაზე გამოსცა

ცნობარი, განკუთვნილი იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირთათვის, რომელთაც სურთ შექმნან სასაქონლო ბირჟა და საბროკერო ფირმა, შეისწავლონ ბროკერის პროფესია და წარმატებით იმუშაონ სასაქონლო ბირჟაზე, დაუკავშირდნენ უცხოეთის ბირჟებს.

ცნობარში განხილულია შემდეგი საკითხები:

1. სასაქონლო ბირჟის არსი და განვითარების ისტორია. ბირჟის სტრუქტურა და საბირჟო ვაჭრობის ტექნიკა, სასაქონლო ბირჟის ტიპიური წესდება, დამფუძნებელთა ხელშეკრულება და ბირჟის სტრუქტურული ერთეულების ტიპიური დებულებები. ფასების კოტირების წესები. საბროკერო მომსახურების ტიპიური კონტაქტები. კონკრეტული რეკომენდაციები სასაქონლო ბირჟის შექმნისათვის;
2. მსოფლიოს უდიდესი სასაქონლო ბირჟების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები;
3. საქართველოში და სხვა რესპუბლიკებში რეგისტრირებული და მოქმედი სასაქონლო ბირჟების და საბროკერო ფირმების დასახელება და მისამართები;
4. მსოფლიო ბაზრის ფასები 1991 წლის მაისის თვის მდგომარეობით;
5. მსოფლიოს 100 უდიდესი ბანკის საფინანსო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები.

ცნობარი, როგორც საბირჟო და საბროკერო საქმის სპეციალისტთა სამაგიდო წიგნი, დიდ სამსახურს გაუწევს არამარტო მათ, არამედ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ბიზნესის სკოლების მსმენელებსა და ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებს.

ცნობარი შედგება 266 გვერდისაგან.

მისი შეძენა შეგიძლიათ როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე: გადარიცხვიდ — 400 მან., ნაღდ ანგარიშზე — 300 მან.

ცნობარი გაიგზავნება მს „შრომის ბირჟის“ ანგარიშზე ფულის გადარიცხვიდან მესამე დღეს, ხოლო ნაღდ ანგარიშზე ცნობარი გაიცემა დაუყოვნებლივ.

მს „შრომის ბირჟის“ მისამართია 380007, ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი 2, ოთახი № 239.

საკონტაქტო ტელეფონებია: 93-69-06; 93-17-97.

კომერციული ბანკი „ცეკავშირი“ 000161501

მ/ს „შრომის ბირჟა“.

საქსახბანკი, კოდი 521006

ღორძინება

ჩვენ ხელმძღვანელობა „არგოს“ საქველმოქმედო ასოციაცია „ღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგერისი
AMISONY®

საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო ასოციაციის „კომპლექსი“-ს ფირმა „მამისონი“ გიწვევთ ა.წ. 15 სექტემბრიდან უმაღლესი კომერციული ინგლისურის შესასწავლად. სახელმძღვანელო შესაბამისი ტერმინოლოგიის და სიტყვების ინგლისურ-ქართულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონით მსმენელებს გადაეცემათ სწავლის დაწყების წინ.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღესდღეობით მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ დაეუფლოთ უმაღლეს საერთაშორისო დონეზე კონტაქტების შედგენის, მოლაპარაკების, საქმიანი მიმოწერის, პრეტენზიების, საჩონლის მიწოდების და ბიზნესისათვის საჭირო სხვა აუცილებელ დეტალებს..

ვიწვევთ მსმენელებს რომლებიც კითხულობენ და თარგმნიან ინგლისურად ლექსიკონის დახმარებით. სწავლების ხანგრძლივობა 8 თვეა. მეცადინეობის განრიგი შეირჩევა თქვენთან შეთანხმებით. სწავლის ღირებულებაა 3920 მანეთი. უცხოელთათვის 2960 ამერიკული დოლარი ყველა ხარჯის ჩათვლით საქართველოში. თანხის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე პირადად. განცხადებები მიიღება ა.წ. 1 აგვისტომდე.

ჩვენი ანგარიშია №000468005 კომერციული ბანკი „თბილისი“, ანგარიში №000161307, კოდი 521006, სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამმართველო.

გელით! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

გჯეროდეთ, ჩვენი კურსდამთავრებული სპეციალისტი გარანტიაა თქვენი მომავალი წარმატებული ურთიერთობისა საზღვარგარეთის ფირმებთან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებით:

95-93-72; 95-23-72.

მისამართი: ართვინის ქ. №53 (საბჭოს მოედნიდან ჯსახვევი ხელმარჯვნივ. ავტობუსი №29 ყოფილ კოლმეურნეთა მოედნიდან).

სარეკლამო-სააგენტო
„არგო-ბლიკი“

საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების ხელმძღვანელების და კერძო პირების საყურადღებოდ!

თუ თქვენ ჯერ კიდევ არ შეგიძლიათ "CANON"-ის ტიპის გასამრავლებელი მანქანები და ფაქსიმილური აპარატები, რომელნიც ხასიათდება მაღალი საიმედობით, მარტივი მომხმარებლობით, უმაღლესი ხარისხით და თანამედროვე მახასიათებლებით, შეგიძლიათ მიმართოთ სამეცნიერო სამრეწველო საწარმო „უგრისს“, რომელსაც გააჩნია საადგენტო ხელშეკრულება ფირმა "CANON"-თან და წარმოადგენს ერთადერთ და სრულუფლებიან წარმომადგენელს ამიერკავკასიის რეგიონში.

სამეცნიერო სამრეწველო საწარმო „ეგრისი“ დაგეხმარებათ სასურველი მოდელის ფაქსიმილური აპარატის: FAX-80; FAX-170; FAX270S; FAX-450; FAX-A501; FAX-750; FAX-L770;
და გასამრავლებელი მანქანებისFC-2; PC-II; NP-1010;NP-1215; NP-2020; NP-6650; CLC-500 შერჩევაში.

გადასახადი ვალუტაზეა.

ჩვენი მისამართია: 380086, ქ.თბილისი, ჯიქიას ქუჩა №115.
ტელეფონი: 31-34-73, 31-30-67.
ტელექსი: 212260 GRAF SU. ტელეტაიპი: 212596 ЛАТР.
ყოველდღე 9^00 საათიდან 17^00 საათამდე, დასვენების დღეების გარდა.

მრავალდარგოვანი შემოქმედებითი ფირმა „ორნამენტი“ სთავაზობს ყველა მსურველს:

1. შენობის არქიტექტურულ პროექტირებას;
2. შენობის ინტერიერისა და ფასადების დიზაინს (დაპროექტებას);
3. ხის ნაკეთობათა ნაწარმს;
4. საიუველირო ნაწარმის დამზადებას (გარდა ძვირფასი ლითონისა);
5. მარკეტინგს და ტანსაცმლის დიზაინს;
6. ლეკალოების კონსტრუირებას, დამუშავებასა და დამზადებას;
7. ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებას;
8. სასაჩონლო ნიშნებისა და ემბლემების დამუშავებას.

ფირმა „ორნამენტი“ ასრულებს ყოველივე შემოთავაზებულის სწრაფ დამუშავებას თანამედროვე კომპიუტერული მეთოდებით ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: ქ.თბილისი, ინდექსი: 380003, ფაღავას ქ. №24 (მეტრო ავლაბართან), ტელეფონი: 29-39-83 ან 74-38-87.

ფირმა „თორის“ სამედიცინო ფილიალში

მათ, ვისაც აწუხებს შარდ-სასქესო სისტემის მწვავე და ქრონიკული დაავადებები (ურეთრიტი, ცისტიტი, ქრონიკული პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე), შეუძლიათ მიმართონ ალექსანდრე ჭავჭავაძის №2 (ოპერის პირდაპირ) მდებარე მე-13 პოლიკლინიკის ბაზაზე არსებულ ფირმა „თორის“ სამედიცინო ფილიალს, რომელიც ფირმის მიერ აღჭურვილია ელექტროსტიმულატორ „ინტრატონით“, რომელიც საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება ქრონიკული პროსტატიტის და იმპოტენციის სამკურნალოდ (პრაქტიკული გამოჯანმრთელება მიიღწევა შემთხვევათა 80-90%-ში). პროცედურები უმტკივნეულოა. აღნიშნული პათოლოგიების მკურნალობა ხდება აგრეთვე თანამედროვე საზღვარგარეთული პრეპარატების გამოყენებით, ხალხური მედიცინის აღიარებული მეთოდებით, ბიოსტიმულატორებით, სამკურნალო ფიზკულტურით.

აქვე ჩატარდება სრულყოფილი ლაბორატორიული გამოკვლევები.

ცნობებისათვის მიმართეთ: ალ. ჭავჭავაძის ქ. №2, მე-13 პოლიკლინიკა, კაბინეტი №22. 17.00 საათიდან.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ფირმა „კომპი“ სთავაზობს იურიდიულ პირებს, რომლებიც ითვლებიან სატელეგრაფო საabონენტო AT-50 და მონაცემთა გადაცემის PD-200 ქსელების (სატელეტაიპო) აbონენტებად, თანამედროვეობის შესაბამის, ავტომატური გამოძახების ინტელექტუალურ ხელსაწყოს (სატელექსო ადაპტერი) VDN 52550. იგი უზრუნველყოფს მასში შემავალი და გამომავალი გამოძახებების ავტომატურ დამუშავებას.

ხელსაწყო იძლევა საშუალებას გამორიცხოთ თქვენი სამუშაო პრაქტიკიდან ყოველგვარი სატელეტაიპო აპარატი და მის მაგივრად გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული PC AT/XT ტიპის კომპიუტერი ან V.24/V.28 რეკომენდაციის დისპლეი. მასში გათვალისწინებულია მიმდევრობითი საბეჭდი მოწყობილობის შეერთება მომლოდინე რეჟიმში შეტყობინებების მისაღებად, როდესაც გამორთულია კომპიუტერი. ხელსაწყოს გააჩნია თვითტესტირების რეჟიმი.

ფირმა „კომპი“ უზრუნველყოფს ხელსაწყოს მიწოდებას სპეციალიზირებული რედაქტორით.

გთხოვთ მოგვმართოთ ტელეფონებზე:

99-79-08 და 39-29-14.

იყიდება

სარეცხი მანქანა "SANYO", მაცივარი "DAEWOO" (სამხრეთ კორეა), ტელევიზორი "SONY" TRINITRON 54 სმ.

მაღაზია „მელოდია“.

მისამართი: კ.გამსახურდიას გამზირი 15, ტელეფონი: 38-50-67.

---

16 კვმ ფართის სარეალიზაციო ჯიხური.

ცნობებისათვის დარეკეთ საღამოს 8 საათის შემდეგ: 38-76-97.

იყიდება

აგარაკი თბილისიდან 22 კმ-ის დაშორებით, წყლულეთში.
ტელ: 98-51-41

▪▪▪▪

სახლი 600 მ² ნაკვეთით, თბილისთან ახლოს.
ტელ: 23-40-40

▪▪▪▪

8 მ² ფართის ჯიხური.
ფასი 12 000
მისამართი: კაკაბეთის 85

იყიდება

ფორტეპიანო „როსტოვ-დონი“
კონდენციონერი ბკ-1500
სარეცხი მანქანა „ჩაიკა“
მტვერსასრუტი „ვიხრი“
იატაკის ხარიალებელი ეპმ-2

დარეკეთ ტელეფონზე: 39-49-84.

ვყიდი რუმინული ფარმოების სამზარეულოს „სელენა“-ს. დარეკეთ 34-00-28.

ხალვაზრდა ქვეყანა

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.